საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინელი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№97 (6474) 15 აგვისტო ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადდება კურკოვანი ხილი

შრომის ცხარე დღეები აქვთ. რაიონის მეურნეები მზადდება კურკოვანი ხილი.

ლაილაშის სოფლის საყრებულოს მშრომელებმა ქალაშან გეგმაზე მეტი კურკოვანი ხილი დაამზადეს. წელს 100 ტონა კურკოვანი ხილი აქვთ დასამზადებელი. ერთი კვირაა, რაც ტყემალი მზადდება. გუშინ პირველად იქნა გატანილი 6 ტონა, ტარა ადრიანად შემოვიტანეთ, თუ საწვავი არ შეგვაფერხებს, გეგმაზე მეტ კურკოვანს დავამზადებთ, გვატყობინებს ლაილაშის ხილის მიმღები პუნქტის გამგე ი. მოწონელიძე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა

9 და 10 აგვისტოს მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან ურჩია უზენაეს საბჭოს გააერთიანოს ორი მუდმივი კომისია—თავდაცვის, ეროვნული უშიშროების, მართლწესრიგის, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიები, რადგან ისინი ერთმანეთს დუბლირებენ.

სესიამ გადაწყვიტა შექმნას ერთი უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისია.

სესიამ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის გ. აბსანძის მოხსენების განხილვის შემდეგ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. მიღებულია აგრეთვე კანონი სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ.

სესიის მუშაობის მეორე დღეს დეპუტატებს მიესალმა სლოვენიის ტურიზმის მინისტრი ინგო პაში.

უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო კანონი საკუთრების და საჯარო ურთიერთობათა საფუძვლების, აგრეთვე კანონები საინვესტიციო საქმიანობის შესახებ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.

სესიამ განიხილა სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადადებული დავალიანებების ჩამოწერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი კომისიის ანგარიში და საინფორმაციო განცხადება.

მოისმინეს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის ანგარიში. პარლამენტმა კომისიის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. განიხილეს და მიიღეს პროექტი თბილისის მმართველობის შესახებ.

სესიამ იმსჯელა ბევრ სხვა აქტუალურ საკითხზე.

სექჯემგელი კარზეა. როკოკ ვხვდებით?

●

ახალი საფიქრალით

საბჭოთა იმპერიის სამოცდაათწლიანმა არსებობამ შექმნა მისივე შესაბამისი სასკოლო სისტემა თავისი უზარმაზარი პროპაგანდისტულ-მეთოდოლოგიური არსენალით, რომელიც საოცარი ფანატიზმით კვებავდა ახალგაზრდობას უკლასო საზოგადოების აშენების შესახებ და ამ მითოლოგიურ ქვაბში ხარშავდა მილიონობით ადამიანის სულსა და გონებას.

ახლა, როგორც ცხოვრება ადასტურებს, ლენინისა და სტალინის შემდეგ ვერავინ გამოჩნდა ამ იდეოლოგიის მათებური დამცველ-გამტარებელი და „გარდაქმნამ" ბევრი ვერაფრით ისახელა თავი (თუმცა მის მესვეურს ნობელის პრემია მიანიჭეს). კიდევ მეტი, გონება გაუხსნა, გამოაფხიზლა იმპერიის მიერ დამონებული ხალხები. დაიწყო იმპერიის არტახების მსხვრევა. ეს პროცესი დააჩქარა ქვეყანაში გამეფებულმა ქურდობამ, მექრთამეობამ, კორუფციამ, ყალბისმქნელობამ, ქადაგებამ ძირმომპალი კაპიტალიზმის გარდაუვალი დაღუპვის შესახებ.

მეორეს მხრივ, პარტიულმა დიქტატმა შიგნიდან გახრწნა ყოველივე. ძნელია ისტორიული პარალელის მოძებნა უზარმაზარი სახელმწიფოს ასე ერთბაშად დაცემისა, და ამ დაცემაში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ახლის მშობიარობა დაინახეს. ეს მშობიარობა რომ მწვავე ტკივილებთანაა დაკავშირებული, ამას ყველა ვხედავთ.

დარეკა უამმა—საქართველომ უნდა აღიდგინოს მისი ისტორიულად ჯერსებული მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა.

იმსხვრევა ძველი სტრუქტურები და ისახება ახალი. და ამ სტრუქტურებში ერთი გენერალური ხაზი სახალხო განათლებამ, სკოლამ უნდა დაიპიროს, სხვა აზრი არ არსებობს, დღევანდელი სკოლა მთლიანად უნდა გარდაიქმნას.

დღეს ყველას უნდა თავისუფალი საქართველო, მაგრამ ახლა რომ უპასუხისმგებლობა და თავს მიშვებულობაა, ღმერთმა დაიფაროს ასეთი საქართველო. ამაში ჩვენ სოდომორის მეტს ვერაფერს ვხედავთ და კარგს არაფერს გვიქადის. სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურებმა პირველ რიგში ეკონომიკას და სკოლას უნდა მიხედონ, წესრიგი უნდა დაამყარონ სახელმწიფოში. სკოლაში იმდენ არასასკოლო მოვლენებს აქვს ადგილი, მათი ახლავე ამოძირკვაა საჭირო.

მთელ სასწავლო-სააღმზრდელო სისტემას უნდა მიეცეს ჯანსაღი ეროვნული ორიენტაცია. მაშინ ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა—ეშველება საქმეს, ეშველება სკოლასაც, ასე ფიქრობს ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ხელდაკაპიწებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

პირველ რიგში მწყობრშია მატერიალური ბაზა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ძლიერ დაზიანდა 29 აპრილის მიწისძვრის შედეგად, ადგილზევე გამოვნახეთ საშუალებები დროულად გაგვესწორებინა ბზარები, შეიღება საკლასო ოთახები, იატაკი და დერეფანი, შეკეთდა მერხები, სკამები, კეთილმოეწყო მისასვლელი, შევათეთრეთ კედლები. ქუთაისის თვალსაჩინოების ბაზიდან შემოვზიდეთ ორიათას მანეთზე მეტი დიდაქტიკური საშუალებები. კაბინეტურ სისტემაზე იმუშავებენ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გამოთვლითი ტექნიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისმხარეთმცოდნეობის, სამხედრო ფიზკულტურული საგნები. სკოლაში ათი პენსიონერი მასწავლებელია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი სწავლასა და აღზრდაში მართლაც რომ ოქროს ფონდს წარმოადგენს.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

თანადგომა

მშენებლებს მეტი დახმარება სჭირდებათ

მიმდინარე წელი სტიქიური მოვლენებით აღინიშნა მთლიანად საქართველოში და ჩვენს რაიონშიც. 29 აპრილის მიწისძვრამ ლეჩხუმსაც უწია ხელი, დაინგრა და დაზიანდა ათეულობით საცხოვრებელი სახლი, სკოლები და სხვა საზოგადოებრივი შენობები, რომლებიც დროულ აღდგენასა და რემონტს საჭიროებენ, ამას სხვა მშენებლობებიც ემატება. ასე, რომ მშენებლებს საქმე, რომ იტყვიან, თავზე საყრელი აქვთ.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, დარწმუნდე, რომ მშენებლები ბევრი პრობლემის, გადაუწყვეტელი ამოცანის წინაშე დგანან, ამიტომ საჭიროა ყველა ამოვუდგეთ გვერდში მათ და დავეხმაროთ მშენებლობათა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

რაიონის პრეფექტურაში გაიმართა რაიონში მშენებლობათა ხელმძღვანელობის შტაბის სხდომა, რომელიც გახსნა პრეფექტის მოადგილემ კობა შრუიძემ.

სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა რაიონის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების გამგე კ. კვირკაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პრეფექტურასთან არსებული მიწისძვრის სალიკვიდაციო ღონისძიებების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ა. კვირკაშვილმა, განათლების განყოფილების გამგემ გ. ხმელიძემ, სარემონტო სამშენებლო უბნის უფროსმა ა. გოგიძემ, ალპანის საუბნო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ჯ. გოლეთიანმა, სამეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ს. თვარაძემ, ტვიშის ღვინის ქარხნის უფროსმა მეღვინემ ტ. გუგავამ, საგზაო სამმართველოს უფროსმა ო. გიორგობიანმა, რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მ. თოთაძემ, № 23 საგზაო სამმართველოს უფროსმა კ. გოგიძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს მიწისძვრით დანგრეული და დაზიანებული სახლების მშენებლობა-აღდგენისათვის. ამჟამად მშენებლობა მიმდინარეობს 50 სახლზე. უკვე შემოზიდულია 415 ტონა ემენტი და შეტანილია სოფლებში, აგვისტოს ბოლოსათვის 10 სახლი იქნება მზად. ამჟამად შეფერხებებია სამშენებლო მასალებზე და მის შემოსატანად საჭირო ტრანსპორტზე.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა-რეკონსტრუქციის საკითხებს, რადგან პირველი რიგის მშენებლობა უნდა დამთავრდეს წლის ბოლოსათვის. მაგრამ არ კმარა მშენებლები, დამხმარე მუშახელი, რაზედაც მშენებლებთან ერთად უნდა იზრუნონ საკრებულოს გამგებელმა და ფერმის დირექციამ. ასევე ჭიანურდება ცაგერის და ალპანის საავადმყოფოების მშენებლობა სამშენებლო მასალებით მომარაგებაში შეფერხებების გამო, ამასთან ალპანის საავადმყოფოს მშენებელს, ცაგერის სარემონტო-სამშენებლო უბანს სჭირდება ტრანსპორტით და დამტვირთველით უზრუნველყოფა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო შენობების სარემონტო სამუშაოები. ამის ერთ-ერთი მიზეზი თანხების და სამშენებლო მასალების გამოუყოფლობაცაა. განსაკუთრებით გვიანდება ცაგერის მეორე ბაგა-ბაღის, ლაცორიის, ტვიშის სკოლების, ტვიშის საბავშვო ბაღის შენობების აღდგენითი სამუშაოები. გადასახურია ორხვის და ისუნდრის სკოლების შენობები. სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსმა ა. გოგიძემ სხდომას პირობა მისცა, რომ 10 დღეში დაამთავრებს აღვისა და ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლების აღდგენით სამუშაოებს.

გამახვილდა ყურადღება რაიონში საგზაო მშენებლობათა საკითხებზე. აღინიშნა, რომ № 23 საგზაო სამმართველოს მიმდინარე წელს ბევრი არაფერი გაუკეთებია რაიონის გზების მშენებლობისა და შეკეთებისათვის, მაშინ, როცა ცაგერი-წყალტუბოს გზაზე გარკვეული მონაკვეთები დასაასფალტებელია. სასწრაფო შეკეთებას მოითხოვს ცხუკუშერი-ნაკურალეშის, ზედა ლუხვანოს, ქორენიშის და სხვა სასოფლო გზები, რომელიც უნდა შეასრულოს საგზაო სამმართველომ.

სხდომაზე თითოეულ მშენებელ ორგანიზაციას მიეცა კონკრეტული დავალება და ვადა სამუშაოთა შესრულებისათვის. დაწესდა, რომ მშენებლებმა ყოველი კვირის სამშაბათს შტაბის სხდომას მოახსენონ არსებული მდგომარეობა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდგრადობის ინსტიტუტის დირექტორმა გურამ გაგრიჩიძემ.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲔᲖᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲜᲘᲢᲐ-

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲘᲔᲠ-ᲡᲐᲮᲔᲡ „ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲡ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘ!

ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲓᲒᲕᲔᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠ ᲬᲔᲡᲔᲑᲡ, ᲐᲜᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲙᲔᲪᲮᲐᲠᲘᲡ ᲦᲔᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲢᲐᲠ ᲐᲠᲑᲡ, ᲪᲮᲔᲚᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲨᲝᲚᲡ. ᲐᲑᲐᲜᲝᲡ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ, ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲜᲐᲮᲛᲐᲠ, ᲒᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲮ ᲧᲠᲘᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲠᲔᲪᲮᲔᲑᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ.

ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲘᲛ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ, ᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲐᲥ. ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ, ᲔᲖᲝ ᲛᲝᲣᲕᲔᲚᲚᲘᲐ, ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲨᲘ ᲦᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲝᲣᲤᲐᲜᲢᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘᲡᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ. ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲙᲚᲐᲕ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲔᲚᲘᲐ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ, ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲜᲐᲚᲕᲠᲔ ᲐᲠᲮᲔᲑᲘ ᲙᲚᲐᲕ ᲐᲛᲝᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲕ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲯᲘᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲪᲐᲒᲔᲠᲒᲐᲖᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝ ᲖᲝᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲥ ᲧᲠᲘᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲒᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲠᲔᲪᲮᲔᲑᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ.

ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲘᲔᲠ-ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲡ, ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲙᲘᲗᲮᲝᲡ.

Ж. ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲜᲔᲞᲘᲓᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲕᲚ. ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ.

ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ

ᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 30 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ „ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔ, ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ“ ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲡ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲡ, ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ, ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐᲘᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ, ᲨᲔᲛᲬᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲘᲔᲠ-ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲘᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲡ, ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲙᲘᲗᲮᲝᲡ.

Ж. ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲜᲔᲞᲘᲓᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲕᲚ. ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ—ᲛᲔᲠᲐᲑᲘ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲤᲐᲥᲢᲛᲐ. ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ ᲤᲔᲮᲔᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ. ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲣᲪᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ. ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲛᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲪᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲔᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ. ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲡ, ᲕᲐᲘ თუ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲝᲓᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲛᲐᲤᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲝᲡᲗ.

ᲐᲛ ᲡᲯᲐ-ᲑᲐᲐᲡᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲕᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲠᲝᲖᲐᲚᲘᲣᲡ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ. ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲕᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲧᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲧᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ. ᲛᲐᲜᲐᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲓᲐᲡᲢᲐᲥᲐᲠᲘ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲐ. ᲙᲣᲭᲘ, ᲔᲚᲔᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲫᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ. ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲠᲝᲖᲐᲚᲘᲣᲡ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲭᲐᲠᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

Ე. Მ. ᲭᲐᲠᲗᲔᲚᲐᲫᲔ.

Ქ. ᲪᲐᲒᲔᲠᲘ.

ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ: ᲐᲖᲠᲘ. ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ. ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲜᲘᲡᲐ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲬᲧᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐ�პᲘᲠᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ, ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ, ᲥᲕᲔᲓᲐ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲡᲝᲡᲗᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲔᲜ. ᲬᲚᲘᲡ „ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘᲡᲐᲓᲐᲛ“ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲓᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ. ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲨᲔᲜᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲤᲠᲝ „ᲘᲝᲚᲘ“ ᲒᲖᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ; ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲧᲝᲑᲐᲓ, ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲓ ᲐᲥᲪᲘᲐ. ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲪ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ. ᲣᲧᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ, ᲗᲕᲘᲗᲜᲑᲑᲣᲠᲐᲓ, ᲡᲢᲘᲥᲘᲣᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲡᲐᲡᲢᲝᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲗᲐᲜ. ᲘᲠᲚᲕᲔᲕᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲰᲘ�გᲘᲔᲜᲣᲠᲘ, ᲔᲗᲘᲙᲣᲠ-ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ. ᲐᲠᲐᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲥ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, Ე. წ. „ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ“, ᲓᲐᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲪᲐᲒᲔᲠᲨᲘ, ᲒᲕᲔᲡᲝᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲪᲐᲒᲔᲠᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲡᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲧ

„შენ შეეწირე ჯერარნახულ ფერთ მოჯარეგას“

ვარლამ მახაროგლიძე 100 წლისაა

რედაქციის სტუმარია თამარ მახარობლიძე—მხატვარ ვარლამ მახარობლიძის ქალიშვილი. დიდის რუდუნებით შეუგროვებია მასალები მამაზე, თაფად ბატონი ვარლამის პუბლიკაციები გაზეთებში სხვადასხვა დროს გაფოქვეყნებული, მისი საგულისხმო ტილოები, ავტობიოგრაფია... და თითქმის ყველაფერი.

ვფიქრობ, ლეჩხუმელ მკითხველს არ სჭირდება ვარლამ მახარობლიძის წარდგენა: ამ დიდებულ პიროვნებას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ლეჩხუმსა და სვანეთში ძვირფასი ექსპონატებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მასალების, ხელნაწერი წიგნების შეგროვების, ბუნების წიაღისეული სიმდიდრის შესწავლის, კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში... იგი იყო პედაგოგი, მაგრამ ფიქრი მხატვრობაზე, როგორც თავად წერს, არ ასვენებდა. „ხატვისას ვიგიწყებ ყველა დარდსა და მწუხარებას. ვხატავ ფანქრით, საღებავით—რაზეც ხელი მიწვდება, ფერებს თავად ვქმნი, ვმუშაობ ფანერზე, ტილოზე, მუშამბაზე“...

ბატონ ვარლამს 100 წელი შეუსრულდა. გვაპატიოს მისმა ნათელმა სულმა—ამ დაძაბულ, დამუხტულ დროში თუ დამსახურებისამებრ ოპერატიულად ვერ შევაგეთ პატივი.

ვარლამი მესტიაში, სოფელ მუჟალში დაბადებული, დედულეთში, მარგიანების ფეძეზე. სვანეთი თავისი სიდიადით, განუმეორებელი ბუნებით, ციხე-კოშკებით დაულეველი საზრდო იყო მისი სულის, შემოქმედებისა და თვით კაცობის...

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლისას მომავალი მხატვარი დამეგობრებია გალაკტიონ ტაბიძეს, ერავე სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის მოსწავლეს. მათ ნაქირავებ ბინაშიც კარგა ხანს უცხოვრიათ ერთად.

გალაკტიონს პირველი ლექსი სწორედ ვარლამისთვის—სიყრმის მეგობრისთვის უძღვნია. ისინი სიცოცხლის ბოლომდე ნაღდი მეგობრები დარჩნენ.

დიდი პოეტი ყოველთვის იყო ვარლამ მახარობლიძის ნიჭის დაფასებელი და მისი შემოქმედების ობიექტური შემფასებელი.

1957 წელს პოეტი მეგობრის პერსონალურ გამოფენას სწვეია გულისფანცქალით. უნახავს ტილო—„სვანეთი, სოფელი მუჟალი“: ირგვლივ შემოჯარული ლურჯი მთებით, მოვარდისფრო, ცამდე აზიდული კოშკებით.

აი, მშვიდი, ნათელი ცა მოიქუფრა და თოვლის თეთრი ნამქერი ქვესკნელში მიაქანებს მგზავრებს—„ზვავი“ დაურქმევია ამ ნამუშევრისთვის მხატვარს...

აღტაცებული გალაკტიონი ლექსით გამოხატავს თავის შთაბეჭდილებას:

„აქ ძვირფასი მოსჩანს ჩვენი
სვანეთის
ლაღი მთები—გამტანნი ერთმანეთის!
ყველაფერი სხივითა ნანთები—
კაცთა სახე, ხეობები და მთები!

აქ ჩვენს მხატვარს საქართველოს
ბუნება—
სულითა და გულით ეხმაურება!
ფერს ახალი მოაქვს მოსინათლობა,
მადლობა მთებს, დიდზე დიდი
მადლობა!“

...სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ვარლამმა გამოცდები პირველდაწყებითი სკოლების საერთო განათლებისა და მუსიკის მასწავლებლის წოდების მისაღებად ჩააბარა. მუშაობდა სვანეთში, ლეჩხუმში მასწავლებლად, მაგრამ ხატვის ყინი და მოწოდება არ ასვენებდა— ხატავდა ილუსტრაციებს, ესკიზებს, პეიზაჟებს, ქმნიდა ლეჩხუმ-სვანეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველ ნამუშებს, დღითიდღე სრულქმნილი და საინტერესო ხდებოდა მხატვრის პალიტრა.

1933 წელს აუხდა ოცნება და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. მეზმე ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა სწავლა მიეტოვებინა, თუმცა ვერ მიატოვა ნიჭი და მოწოდება, მოზღვავებული სწრაფვა ხელოვნებისაკენ, პირიქით, იწყება შემოქმედებითი წვის ყველაზე აქტიური პერიოდი. ვარლამი 1932 წლიდან საქართველოს მხატვართა, 1959-დან კი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის წევრი იყო.

1932 წელს საქართველოს სახალხო მხატვარი მოსე თოიძე შემოქმედებით მივლინებაშია ლეჩხუმ-სვანეთში. „მე ვესაუბრეთ ვარლამთან მუშაობა, ვინაიდან მე ვსწავლობ მისგან რა და როგორ ვხატოო“—უთქვამს დიდ მხატვარს.

შემდეგ ვარლამი მხატვარ დავით კაკაბაძესთან ერთად მიემგზავრება რაჭაში, დადიან ხალხში, მუშაობენ ეტიუდებზე, რაჭის პეიზაჟებზე. ამ ერთობლივმა მუშაობამ ბევრი შემძინაო, იტყოდა.

ვ. მახარობლიძის პირველი პერსონალური გამოფენა 20 წლისა იყო რომ მოეწყო 1911 წელს, მას აქეთ გამოფენები თუ შემოქმედებითი საღამოები მოეწყო მოსკოვში, ქუთაისში, თბილისში, ცაგერში, ლაილაშში. მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ საქართველოში, რუსეთში.

ბოლოს, 1981 წელს, მის მშობლიურ სოფელ ლაჯანაში მოეწყო მხატვრის ნამუშევრების გამოფენა.

უყურებ მხატვრის მართლაც თვითმყოფად, ორიგინალურ სტილს და თხემით, ტერფამდე წარმოგიდგება ავტორის პიროვნება, მისი ნიჭი და კრედო. ერუჯტელი გივლის, ტილოს „შოთა რუსთაველი თამარ მეფის ამალაში სვანეთში“—ხილვისას. ლილისფერი ღამისა და ლურჯი მთების, სვანური კოშკების ფონზე მოჩანს ცხენოსანთა ლაშქარი, ყალყზე შემდგარ ნესტოებდაბერილ ულაყებს ვერ აოკებენ მხედრები. თამარი ლაშქრის ცენტრში შემართულა, დედოფლის გონიერება, სიმაღლე და სიწმინდე, დროშა და მანდილი დაიცავს მეომრებს, საქართველოს, ქართველობას. „რეკვაზ მარგანი“, „მორების დაცურება ცხენისწყალზე“, „ბაზრობა ცაგერში“, „ალები“, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი შესანიშნავი ტილო დაგვიტოვა სულმნათმა მხატვარმა.

ბატონ ვარლამის 500-ზე მეტი ნამუშევარი შეძენილი აქვს საქართველოს სახელმწიფო გალერეას, სახელმწიფო მუზეუმს, თბილისის, ქუთაისის, ცაგერის, ლენტეხის კულტურის სახლებს, საწარმო-ორგანიზაციებს.

იგი ხალხში ტრიალებდა, ლეჩხუმ-სვანეთის თითქმის ყველა ციხე-ეკლესია ფეხით ჰქონდა მოვლილი, აგროვებდა მასალებს, გაზეთში განგაშს ტეხდა ცხეთის, ნაკურალეშის ეკლესიების, მურის ციხეების თუ სხვათა დაცვის აუცილებლობაზე.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ახალი საფიქრალით

(დასასრული)

სკოლაში მოვიდა საიმედო ახალგაზრდული ცვლა. ესენია მათემატიკოსი ზ. ომანაძე, ფიზიკოსი ც. კვირკაშვილი, ფილოლოგი მ. მამარდაშვილი, ქიმიკოსი ლ. ფუტკარაძე, ისინი მაღალი პროფესიონალიზმითა და გულმოდგინეობით ასწავლიან საგანს. ასევე ახალგაზრდები ემსახურებიან სამხედრო სპორტულ სწავლებას სკოლაში. კოლექტივის მუშაობის შედეგია ის, რომ სკოლას არა ჰყავს ძნელადაღსაზრდელი, ჩამორჩენილი და უდისციპლინო ბავშვები.

წერტილი დავუსვით ყველაზე დიდ ყალბისმქმნელობას სკოლაში—ორიანის დაწერაზე უარის თქმას, ამით ბრძოლა გამოვუცხადეთ ლიბერალიზმს.

მიუხედავად ამისა, თავსაყარი გვაქვს გადაუჭრელი პრობლემები, ზოგი სუბიექტური და ზოგიც ობიექტური მიზეზების გამო. პირველ რიგში მინდა ვთქვა მათ გასაგონად, ვისაც ეს ხელეწიფება, სოფლის დაწყებით კლასებში 5-8 მოსწავლეზე იყოს დამოუკიდებელი კლასი და მასწავლებელს ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცეს.

არასწორად მიმაჩნია სამართლის საფუძვლების სწავლების ამოღება პროგრამებიდან. თუ საბჭოთა არა, ისწავლებოდეს ზოგადად „სამართლის საფუძვლები“. ამით ახალგაზრდობა საკმარისად გაერკვევა სამართლის ზოგად პრინციპებში, რაც აუცილებლადაა საჭირო. აუცილებლად მიმაჩნია ფსიქოლოგიის საგნის სწავლების შემოღება. ეს პიროვნების ბევრ საიდუმლოებაში გაარკვევდა ახალგაზრდობას. ეთიკა ამას ვერ ცვლის და არც შეუძლია შეცვალოს.

დღეს ყველაზე მწვავედ დგას სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი, პირდაპირ ჭირის ოფლში არიან მშობლები. როგორც ამ დღეებში შევიტყვე, 54 დასახელების სახელმძღვანელოდან მხოლოდ 11 დასახელების სახელმძღვანელოა დაბეჭდილი ქაღალდის უქონლობის გამო, მაგრამ ისიც გვითხრეს, რომ მიღებულია ზომები—ქაღალდი შემოვა საზღვარგარეთიდან და აგვისტოს ბოლომდე ყველა დასახელების სახელმძღვანელო დაიბეჭდებაო, დეფიციტია სასკოლო ნივთებზე. ჯერ არ ვარგა და მაინც უსაშველოდ გაძვირებულია მოსწავლის ფორმები. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელო იყოს ფასიანი და იყიდებოდეს.

დიდი ხანია არ გამოსულა „დედა ენის“ პირველი ნაწილი და თუ გვაქვს, სამუზეუმოდ თუ გამოდგება, მისი ხელში დაჭერა არავის შეუძლია.

სრულიად გარდაქმნას მოითხოვს მუშაობის ორგანიზაციის საქმიანობა სკოლაში. არ არსებობს ამის შესახებ რაიმე სადირექტივო მითითება, მიშვებულია თავის ნებაზე და ვის რა მოეს-ურვება, იმას აკეთებს. საგანგაშოა სკოლის შუშით მომარაგების საკითხი. ცენტრალური გათბობა სპეციალისტის უყოლობის გამო აშენების წელსვე გამოვიდა მწყობრიდან. შუშაზე სატყეო მეურნეობას ჯერ არ უზრუნია.

მთელი ჩვენი მუშაობის დევიზი იქნება მაღალი პროფესიონალიზმი, დაკისრებული საქმისადმი ერთგულება, პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა, შინაგანი მოწოდება, მწვანე შუქი მივცეთ პირველ რიგში ნიჭს, უნარს, მიდრეკილებას, ჩვენ მკაცრ შეფასებას მივცემთ სასკოლო ცხოვრებაში სულ მცირე დარღვევასაც კი.

მართალია, ჩვენი სკოლა ჯერჯერობით რჩება ზოგადსაგანმათლებელო საშუალო სკოლად, მაგრამ ძალუმად მოვამზადებთ ნიადაგს პროფილირებულ სწავლებაზე გადასვლისათვის, რადგან სწავლების ასეთი ფორმა ხვალინდელი ჩვენი სკოლის ქვაკუთხედად მიგვაჩნია.

მოდის ახალი სასწავლო წელი დიდი საფიქრალით, მეტად მძიმე პრობლემებით, ეს ჩვენ არ გვაშინებს, კიდევ მეტ პასუხისმგებლობას გვიჩენს, მაგრამ სიწუხარი უფრო სხვაა, ეს „სხვა“ კი მძიმე წნევის ქვეშ აყენებს ამ პრობლემებს.

ვ. ჩაკვეტაძე,

ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი.

გავუფრთხილდებით შენს სახელს, ხსოვნას

ძნელია ბოლომდე გაიაზრო, რომ ჩვენს შორის აღარაა ერთი ნაღდი ლეჩხუმელი ვაჟკაცი, უღალატო მეგობარი, გამოცდილი სპეციალისტი, სოფლის კარგი წინამძღოლი, გულისხმიერი მეუღლე და მამა ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი.

მიდიხარ ჩვენგან, ძვირფასო მეგობარო და გვიტოვებ მოურჩენელ ტკივილს იმისას, რომ ვეღარ გიხილავთ ჩვენს გვერდით შემართულს, საქმიანს, სიყვარულით გულანთებულს, დღენიადაგ სასიკეთოდ განწყობილს.

მთელი შენი ცხოვრება სწავლით, საზოგადოებრივი საქმით, სოფელზე ზრუნვით იყო დატვირთული.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სწავლული აგრონომის დიპლომით 1964 წლიდან მშობელ კუთხეში ხარ, სად არ გიმუშავნია—ალპანის, ლაჯანის კოლმეურნეობების აგრონომად, ორბელის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

არასპეციალისტს, მაგრამ როგორც კარგ ორგანიზატორს, 1973-1978 წლებში ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ალპანის სამკერვალო წარმოების ხელმძღვანელობა განდეს. აქაც აუღე ალღო ახალ სფეროს, რთულ საქმეს. მაღალი შედეგებით გამოირჩეოდა მაშინ საწარმო, 250-მუშახელიანი კოლექტივი მობილიზებული და მოწიფავე იყო შენი ორგანიზატორობის წყალობით.

1978 წლიდან სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ისევ მშობლიური ლაჯანის კოლმეურნეობის გამგეობას თავმჯდომარეობდი.

გიყვარდა მშობელი ხალხი, ხუთი თითივით იცოდი სოფლის ავ-კარგი, ჭირი და დალხინება. უშუალო იყავ და გულისხმიერი, ტაქტიანი. არ გვახსენდება თუნდაც ერთი კონფლიქტური სიტუაცია, დაპირისპირება შენი ვინმესთან. ამიტომ გენდობოდა სოფელი, მოგყვებოდა, სჯეროდა შენი.

რამდენი სასიკეთო ფიქრი და იცნება, გასაკეთებელი წაგყვა თან 55 წლის კაცს. რა ნაადრევად გაუდექი საუკუნო გზას. რა ვუთხრათ ლოყებდახოკილ მოხუც დედას, რით ვანუგეშოთ ცალულად დარჩენილი მეუღლე და მამის ალერსს მოკლებული შვილები?

ალბათ იმით, რომ შევუერთდებით მათ გლოვას, ალბათ იმით, რომ შენ ადამიანთა ნამდვილი სიყვარული და მწუხარება, სითბო მიგყვება საუკუნო განსასვენებელს.

შენ ისევ ჩვენს გვერდით დარჩები, ძვირფასო ოთარ, გავუფრთხილდებით შენს სახელს, ხსოვნას, შენს წმინდა საფლავს.

წრფელი ცრემლებით

ამხანაგების ჯგუფი.

„შენ შეეწირე ჯვარარნახულ ფერთ მოჯარებას“

(დასასრული)

სწორედ მან, 1937 წელს, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებაში დასვა საკითხი ცაგერში ეთნოგრაფიული მუზეუმი გახსნილიყო. დიდი წვალების ფასად, გახსნა რა მუზეუმი, სამი ათეული წელი შესაშური მონდომებით და გულისყურით აგროვებდა ჩვენი კუთხის ყოფის, გმირული ისტორიის ამსახველ მასალებს, ნივთებს, ხელნაწერებს. უნიკალური ექსპონატებით ამდიდრებდა მუზეუმს. იმ ხანად მუზეუმი ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში ფუნქციონირებდა, ამით ეკლესიაც გადარჩინა შთამომავლობას.

ბატონი ვარლამი 1972 წელს, 82 წლისა წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი და ბოლომდე დახარჯული, თუმცა ისევ მაძიებელი, დაუდალავი, ისევ პატრიოტი.

* * *

თავის დროზე პოეტობაც უცდია, მშვენიერი ლირიული სტრიქონების ავტორია. ლექსში „ნიკო ფიროსმანიშვილს“ ასეთი ადგილი მენიშნა:

„ჩრდილით დაფარულ ღრმა წყლულებით მიმოდიოდი,
ო, სიცოცხლეში შენ არვისგან იყავ დებული“

თავად ბატონ ვარლამს სიცოცხლეშიც არ აკლდა დაფასება, მაგრამ კვლავაც ეკუთვნის. იქნებ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დავარქვათ მისი სახელი? კარგი იქნება. აგრეთვე მხატვრის შემოქმედებასთან ერთხელ კიდევ შეხვედრა—მისი საიუბილეო პერსონალური გამოფენის მოწყობა. იგი უთუოდ დიდ სიამოვნებას დაუტოვებს ხელოვნების მოყვარულთ.

ვგონებ, მხატვრის ძვლებიც კი შეინძრეს საფლავში...

მ. ძნელაძე.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ჟუთაისი—ალპანა—ცაგერი ნაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის კაპიტალური შეკეთების გამო ელექტროენერგიის მოწოდება ხდება ლენტეხის რაიონის გამოვლით არასაკმარისი ძაბვით. ამიტომ ვერ ხერხდება წყალსადენიდან 1000 ტონიან ავზში წყლის გადაქაჩვა. წყლის მოწოდება მოხდება შემცირებული გრაფიკით. გთხოვთ გაითვალისწინოთ.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანების დირექცია.

დედა ნატა, მეუღლე ნანული, შვილები გოგიტა, ნატო, სიძე მარლენ გოგილავა, ოლეები გულა, ნათელა, ნუნუ, ტანია, ძმისშვილები მურთაზი, ანზორი, ცოლისდა ლილი, ქვისლი ვალოდია მახვილაძე, შვილიშვილები დიტო, გვანცა, ძმახლები ბაბილინა, მიტუშა გოგილავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუბენ გიორგის ძე გოქაძე

დაკრძალვა 18 აგვისტოს, კვირას, სოფელ ლაილაშში.

ვალოდია, ფატი გოგიძეები, ამირან ჭარხალაშვილი, მურთაზ ქოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნივრა, კაკო, ბადრი, სოფო, ნესტან ჭიხონელიძეებს

ლუბა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები გრიშა ჩიქოვანი, ნელი ჩაკვეტაძე, ლერტვილდიანი, კაკო ლიპარტელიანი, გურამ დავითულიანი, ედია მურცხვალაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა და ვალიკო მურცხვალაძეების ოჯახს შვილის

რამაზ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

დედა ელენე, მეუღლე ლეილა, შვილები ელისო, ნინო, ბესო, დები ნორა, ძაღუ, ? მამიდა მელო, სიძე რომან დაშნიანი, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი.

დაკრძალვა 18 აგვისტოს, კვირას, სოფ. ლაჯანაში.

ჯემალ, თამაზ, ამირან ლაკვეხელიანები ოჯახებით იუწყებიან

ოთარ ლაკვეხელიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბადრი ჭიხონელიძეს ბებიის

ლუბა ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნორა, დარეჯან, რამაზ მახარობლიძეები, თამილა გურასაშვილი, ჯუმბერ ფრუიძე, ვლადიმერ ხვადაგიანი, კოლია ახვლედიანი, როლანდ ნემსწვერიძე, დემურ ჯოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ლაკვეხელიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები შაშე, ნელი, რძლები ზოია, იზო ნემსწვერიძეები, შვილიშვილები ირინა, ნორა, გოდერძი, მარიკა მაია, სიძე ვალოდია რევიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სონა კიმოთეს ასული ფრუიძე-ნემსწვერიძე.

დაკრძალვა 17 აგვისტოს, შაბათს, სოფელ უცხერში.

ზურაბ ჩიქოვანი, როსტომ მუშკუდიანი, გრიშა მეშველიანი, ტიტიკო კოპალიანი, ლია ნიკოლაიშვილი, შოთა გოდოლაძე, ოთარ კვენტაძე, თამაზ ქარსელაძე, ტრისტან ლეთოდიანი, აკაკი ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლაჯანის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალბერტ, მიშა, კუპიკო, კუსია ჭახარობლიძეები ოჯახებით იუწყებიან

ოთარ ლაკვეხელიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაღუ ჩხეტიანს და ლალი ?ბუკიანს

რამაზ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ალბერტ, ხვიჩა, მურთაზ, დავით ჩაჩხიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი.

ცაცა მელაძე, ჯუმბერ, არჩილ ახვლედიანები, აფშინა ცვარიანი, ქოშვარდ ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.

მურთაზ ჩაკვეტაძე, სოსო ფანჯავიძე ოჯახებით, იუწყებიან

რამაზ მურცხვალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ, იური, თემურ, კარლო კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.

მარინე, ბათალი გაჩეჩილაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ მურცხვალაძე.

მურთაზ სილაგაძე, რეზო გოლეთიანი, დადაში ურთმელიძე, კოლია გიორგობიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ლაკვეხელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები ვენედი ცხვედიანი, ნანი ხაბულიანი, მევლუდ სილაგაძე, ქიშვარდ ყურაშვილი, ბორის მამარდაშვილი, ნუგზარ, გია ჭაბუკიანები, ოლეგ გიორგობიანი, საშა ბერიძე, ანდრო ბურჯალიანი, მერაბ ჭიღვარია, ამირან ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო და გოგი მუშკუდიანებს ძმასა და ცოლისძმის

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ნაკურალეშის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარო გოლეთიანს მეუღლის

ჯოკია გოლეთიანის

გარდაცვალების გამო.

თემურ შკუბულიქნი, მუხრან ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.

გელა მამარდაშვილი, ჯემალ ჩიკვაიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი.

ნანი ხაბულიანი თანაუგრძნობს ლალი, ელისო, დალი ჭაბუკიანებს, ნინო მურცხვალაძეს

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

გივი ასათიანი, ჯონი კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები დავით ირემაძე, ? ლილი ჩიქოვანი, გერონტი, რამაზ, ვეფა, რუსუდან, სარა, ქეთევან ყურაშვილები, გრიშა, გენო ჩაკვეტაძეები, ოთარ, პოლიშკა გოლეთიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯოკია გალაქტიონის ძე გოლეთიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ლაჯანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თამაზ თაგვაძე, დათო ლეთოდიანი, ლუდვიკი ხეცურიანი, ეორა გერონტის ძე სილაგაძე, გიგა ახვლედიანი, ბადრი ქომეთიანი, ეორა სილაგაძე, თანაუგრძნობენ ელისო და მურთაზ თაგვაძეებს მამიდაშვილის

რამაზ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ზაურ ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სტომატოლოგიური კაბინეტის თანამშრომლები ოჯახებით თანაუგრძნობენ ცირა, ვალიკო მურცხვალაძეებს, თამარ, რეზო ჭაბუკიანებს, შვილისა და დისშვილის

რამაზ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

თამაზ ჩაკვეტაძე, ტარიელ საღინაძე, ბახვა კვირიკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.

ეთერ ბარამაძე, მამია, ზურაბ დაშნიანები, ჯობო ბაკურაძე, მერაბ სვანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ მურცხვალაძე.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ რეზო ჭაბუკიანს დისშვილის

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნორა ალექსანდრეს ასულ ლაკვეხელიანს ძმის

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანის

გარდაცვალების გამო.

ვეტსამკურნალოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცირა და ვალიკო მურცხვალაძეებს შვილის

რამაზ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

სასტუმრო „ლეჩხუმის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა კოპალიანს ბიძაშვილის

საშა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ლოლა, ზურაბ ჩიქოვანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ვალიკოს ძე მურცხვალაძე.

ბიძაშვილები ასმათ, დარეჯან, ლეილა ჩაჩხიანები, სიძეები ილუშა ურთმელიძე, ამირან ოობიძე, ბესიკ გოგოშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლელა ბენიას ასულ მიქელაძეს დეიდის

მზია მიხეილის ასულ თაგვაძის

გარდაცვალების გამო.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ფაბრიკის ყოფილი დირექტორი

ოთარ ალექსანდრეს ძე ლაკვეხელიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლეჩხუმი“ გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 383100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების —22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, ხელმძღვანელის დირექტორის—22-17, ხელმძღვანელის საბჭოს —22-28

შეკვეთა №92 ტირაჟი—454

რედაქტორი ნ. ნიმსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჟუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის ხელმძღვანელობა.